

გაზეთის ფასი

გაზეთით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტო შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: ВЪ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОБА“.

ხელის-მოწერა

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში  
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბაროს: ВЪ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ შირიშანიძის სახლგაში.

კანტორა: ივანეის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაურის სახლგაში.

ზინაარსი:

რედაქციის განცხადება — საქართველო: ახალი გამგეობა, — უფ. ი. არწრუნი და თამაშაშვილის ქარვასლა, — წერილი ამბები. — „დროების“ კორრესპონდენცია: სოხუმიდამ, — შორიდაშ. — რუსეთი: წერილი ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, — მსანია, — ანია. — საქართველოს ცხოვრებაში: მართობის მნიშვნელობა, — ნარევი. — მანცხადებანი.

ვისაც წარმადელი ან უარმადელი გაზეთის ფასი ახამდის არ უგომუშა. ნია, ვთხოვთ გამოგზავნონ რედაქციის კანტორაში.

ამ დღეებში გამოვა და მართანოვის წიგნის მალაზიაში გასყიდება

პატარა

დროების კალენდარი

ფასი ყველგან სამი შაური.

ამას გარდა იბეჭდება და დეკემბრის შუარიცხებში გამოვა მკორე უფრო ვრცელი „დროების კალენდარი“

რომელიც, ჩვეულებრივ საკალენდრო და სტატისტიკურ ცნობებს გარდა, რამდენსამე მოთხრობას, სტატიებს, ლექსებს და საზოგადოთ ლიტერატურულ ნაწილს შეიცავს. ავ კალენდარში იქნება აგრეთვე დაბეჭდილი „წესდება თფილისის გუბერნიის სადგილ-მამულა ბანკისა.“

ფასი „დროების კალენდარისა“ ექვს შაურზე ან ორ აბაზზე მომეტებული არ იქნება.

ორივე კალენდარი ქუთაისში და უფლის ქალაქებშიაც გასყიდება. თავის დროზე გამოცხადებული იქნება თუ სად და ვისთან შეიძლება ყიდვა.

დაბარება შეიძლება „დროების“ რედაქციიდან და უფ. მართანოვის წიგნის მალაზიიდან.

საქართველო

ახალი მალაზის გამოცემა

რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ ქართველს (თუ კი სადმე მოიპოვება ამ ქამალ ჩვენში „ნამდვილი ქართველი!“). — რაც უნდა ძალიან ეწყინოს, მაინც უნდა გაეცოდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი — თფილისი — დღეს სომხების საკუთრებად შექნია. ახლანდელის თფილისის ნახევარმცხოვრებლებს სომხები შეუდგენენ; ვაჭრობა, აღებ-მიცემა იმათ ხელშია; ქალაქის მიწა იმათია; ამ მიწაზე აგებული შენობებიც თათქის სულ სომხებისაა.

თითო-ორიოლა იმერელს ან მგერელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და საზოგადოთ წერილ ვაჭართა და მოპატრონეთა შორის, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა — დიდები „ჩენი“ ქალაქისა სულ სომხების ხელშია.

მართ სიტყვით, სომხები კარგა მაგარი ბრკელებით ჩაჭრენიან ქალაქსა და ჯერჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმეებსაე...

თუ ამ გარემოებას მიიღებთ მხედველობაში, მაშინ, ქვემო-მოყვანილი სიის წაუკითხავადაც, კარგათ მიხედვით — თუ ვინ უნდა ამოერჩია ქალაქს თავის საქმეების წარმომადგენელად და გასაგებად.

სამოცდა თორმეტ ქალაქის დებუტატში მხოლოდ სამი თუ ოთხი ქართველია მგონი, ერთი თუ ორი რუსი და ერთიც გერმანიელი. დანარჩენი სულ სომხები არიან! ეს გარემოება ძალიან ადვილად გასაგებია: წერილი და დიდი ვაჭრები, ცოტა და ბევრის ხარჯის გადახდელნი სულ სომხები არიან, და იმათაც თავის ნაცნობი ძმა-კაცები, თავის რჯულისა და ხელობის ვაცები ამოირჩიეს ქალაქის გამგეობაში თავიანთი ინტერესების დასაცველად...

ამაში გასაკვირველი არა არის რა. მაგრამ ამ ამორჩევის შედეგი, მგონი, იმათ კი ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი ცოტას მაინც არის დაფიქრდეს...

ჩვენ არა გვაქვს ცნობა ახლად არჩეული პირებისა...

არ ვიცით ახალი გამგეობა როგორ იმოქმედებს შემდეგში, ვის ინტერესს და როგორ დაიცავს. მაგრამ ახლანდელ გამგეობას, სხვა მოვალეობათა შორის, ერთი მოვალეობა აქვს, რომელსაც, რაც უნდა ჰსურდეს, თავიდან ვერ აიცილებს; ეს მოვალეობა ის არის, რომ ქალაქი რიგინათ განათოს და მცხოვრებლებს წყალი აღირსოს.

ბუშინდელი თამაშაშვილის ქარვასლის დაწვა, ყოველ — დღური ცარცვა და ავაზაკობა ქალაქში კარგთ გვარწმუნებს, რომ ეს ორი საგანი: წყალი და სინათლე მთელი ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ს. მესხი

უფ. ი. არწრუნი და თამაშაშვილის ქარვასლა

წინანდელ „დროების“ ნომერთან, უფ. ივრემია არწრუნის თხოვნით, ჩვენს თფილისის ხელის-მოწვერლებს გაუგზავნეთ რუსულად შედგენილი ქალაქი, რომელიც უფ. არწრუნს ქალაქის გამგეობაში შეუტანია.

ეს ქალაქი თამაშაშვილის ქარვასლას შეეცნება. უფ. არწრუნი ამბობს, რომ 1846 წელს, როდესაც ქალაქმა მისცა უფ. თამაშაშვილს მრეწვის მეიდანზე ალაგი (1000 ოთხკუთხეი საყენი) თეატრის ასაშენებლად, უმთავრესი აზრი ის იყო, რომ თეატრს კარგი ფართო ალაგი ჰქონოდა, დუქნების მიშენება კი ამ ქარვასლაში მეორე ხარისხის საქმე იყო. ბოლოს კი სულ წინააღმდეგი გამოვიდა: პირველი ყურადღება თამაშაშვილმა მალაზიებს მიექცია და თეატრის შენობამ უკანასკნელი ალაგი დაიჭირა.

ეს, სხვათა შორის, იქიდან სჩანს, რომ მა-

ლაზიები 300,000 მანეთად იყო დაფასებული და თეატრი კი 60,000 მანეთათა.

ამ ადგილს გარდა, რომელიც ქალაქისათვის ეხლა უკანასკნელ 200,000 მანეთად ღირს, უფ. თამაშაშვილს კიდევ ყოველ წელიწადს რვა ათას მანეთამდე ეძლევა სუბსიდი-აო, რომელიც ეხლა თითქმის ორას ათას მანეთს შეადგენს.

მხლა, როდესაც თეატრი დაიწვა, ქალაქმა უნდა მოიფიქროს და კარგათ ასწროს — რა ძვირად დაჯდომია და კიდევ რამდენათ დაუჯდება იმას ეს თამაშაშვილის ქარვასლა და თეატრი. იმის ეკონომია, სამართლიანობა და ანგარიში თხოულობს, რომ მოსპოს კანტორაქორმელიც თამაშაშვილთან აქვს შეკრული და სადმე სხვაგან ააშენოს თეატრი; ეს უფრო იაფათაც დაუჯდება და არც ისე საფრთხილო იქნება.

როგორც სჩანს, ქალაქს არ მიუქცევია ყურადღება უფ. არწრუნის ღალატებისათვის: უფ. თამაშაშვილი აკეთებს ცეცხლი-საგან დაზიანებულ ქარვასლას და, როგორც ამბობენ, ამ ორ კვირაში სრულიად მზათ იქნება.

იქნება უფ. არწრუნი მართალი იყოს, მაგრამ როდესაც ქვემო-მოყვანილ ამბავს გაიკებთ, არ შეიძლება ცოტა ეჭვი არ შეხედეთ ამ საგნის გამო:

დაიწვა თუ არა თამაშაშვილის ქარვასლა, უარწრუნი იმ წამსვე გამოცხადება ააკრა კედლებზე, რომ ვინც ჩემს ქარვასლაში გადმოვა, შეიღი თვის ვადით მუქთად მავეცმ მალაზიასაო და შემდეგაც იმის მეტს არ გადავხდევინებ მალაზიის ქირას, რამდენსაც თამაშაშვილის ქარვასლაში აძლევდნო.

ს. მ.

წასულ ოთხშაბათს, ნოემბერს 20, მეორე განყოფილების ამომრჩეველებს ჰქონდათ ქალაქის დებუტატების ამორჩევა. სულ 105 ამომრჩეველი იყო. შემდეგი 24 პირი აირჩიეს:

- ბ. ნ. რეიტერი — 80 თეთრი კენჭი, მ. ა. თამაშაშვილი — 82, ს. ა. ამირაგა — 81, ნ. ა. არგუთინსკი — 80, ი. მ. ამირაგა — 78, მ. მ. მეანგულაგი — 78, ა. მ. მამაკოვი — 76, მ. ი. არცრუნი — 75, ნ. ი. ამატუნი — 74, ი. ს. აბესალომოვი — 74, მ. ტ. ხტია სოვი — 71, ირ. ბ. ბაგრატიონ-მუხრანსკი — 68, ნ. ი. პრიბილი — 68, მ. ი. იხპიროვი — 67, ს. პ. ალადათოვი — 66, დ. მ. ლისიცივი — 66, ი. ს. აბესალომოვი — 65, მ. ლ. სლინკო — 65, ა. ა. იონესიანი — 65, ა. ნ. მდებულაგი — 64, მ. ი. დოლუხანოვი — 64, ი. ა. ზუბალოვი — 63, ნ. მ. ზუბალოვი — 62.

მესამე განყოფილების ამომრჩეველების კენჭის ყრა ნოემბრის 23 იყო თფილისის ქრებაში (მუხრანსკის სახლგაში), სულ ამომრჩეველები 350 კაცი იყო, რომელთაც პირველი და მეორე განყოფილების დაგვარად 24 დებუტატი ამოირჩიეს. მსენი არიან:

- პ. ი. შაღინოვი, რომელსაც — 270 თეთრი კენჭი ამოუვიდა, ა. ი. მართანოვი — 265, მ. ი. შუღინოვი — 259, ა. ა. ბაბანოვი — 258, ს. მ. მი-

- რიმანოვი — 256, მ. მ. წოვიანოვი — 254, ლ. მ. ბებუთოვი — 253, დ. ა. სუბათოვი — 252, ი. მ. წოვიანოვი — 252, ნ. მ. პიტოვი — 249, მ. ს. როტინოვი — 245, ი. ს. შაღინოვი — 244, ა. მ. წოვიანოვი — 243, ი. ა. შორაქოვი — 242, მ. დ. როტინიანი — 242, ი. ი. წინამძღვაროვი — 241, დ. ა. შორაქოვი — 239, მ. მ. მჯუბოვი — 237, მ. მ. წურინოვი — 237, ი. დ. ასლაზოვი — 236, მ. ი. პაპისოვი — 235, ს. ი. იხპიროვი — 235, ა. ს. წურინოვი — 234, ი. ს. ტერ-სტეფანოვი — 229.

\*\*

გაზეთს „ძეკაში“ იწერებიან, რომ ამ ნომერის დამდევს გზათ-მინისტრს ნავროსისკი, ანაპა, ბელენჯიკი და ტუაპსე უნდა დაეველო და უნდა ამოერჩია პორტის გასაშენებელი ქალაქი; კიდევ ჩამოიარა შავ ზღვაზედა, მაგრამ ამ დროს უეცრად უკან დაბრუნდა და ლივადიაში წავიდა ხელმწიფე იმპერატორის სანახავათო. მსევე კორრესპონდენტი იწერება, რომ ამნაირად ჯერ არ გადაწყვეტილა — თუ სად უნდა ააშენონ პორტი, მაგრამ რკინის ნავსადგურების აშენებას კი აპირებენ ანაპაში, ნოვოროსისკში და ტუაპსეში.

\*\*

საჩივრები ქალაქის მებლიეთებზე თანდათან უფრო ხშირად იმისი, იმერლებს მაინც უჭირებენ თურმე საქმეს: ვისაც ხმა კაცს დაინახვენ, აზნაური იქოს თუნდ გლესი, არ დასდევენ, შეიტყუილებენ სადღაც კანტორა აქეთო და სინამ ბილეთს არ მიაჩივებენ ხელში და მანეთს არ გადახდევინებენ, არ გამოუშვებენ. ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ხუთზე მეტი მოვიდა ჩვენთან საჩივლოდ, თითქო ჩვენ ამ საქმეში რამე შეგვეძლოს...

იმედია, ახლად არჩეული ქალაქის გამგეობა მაინც მიაქცევს ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას.

\*\*

ქალაქში წვიმა და სიცივეები დაიწყო; ზამთრის მოახლოების სუნი ჰბერამს.

\*\*

ჩვენ შეიტყუეთ, რომ ქუთაისში ბიბლიოთეკის გამმართველი, უფ. ანტონ ლორთქიფანიძე, წასულა ქუთაისიდან იმ განხრახვით, რომ რუსეთში და სამზღვარ გარეთ (განსაკუთრებით მენგრაში) სამეურნეო ბანკების საქმე და მსვლელობა უფრო დაწერილობით შეისწავლოს.

\*\*

მმართველობასთან შეკრული პირობის (კონცესიის) ძალით, როსტოვი-მლადიკავკაზის რკინის გზა მომავალი წლის 2 იელის უნდა იყოს სრულად დამზადებული და გახსნილი. მაგრამ როგორც იწერებიან, უფრო ადრეც იქნება მზათაო: ამბობენ, მომავალს მისს გაიხსნება.

\*\*

„მოსკოვის შუყებებს“ შეუტყუი, ვითომც მმართველობას გაზრახვა აქვს, რომ ამ მოკლე ხანში მოახდინოს გამოკლევა — თუ რა ადვილეს უფრო მოხერხებული იქნება



როსტოვი-მლადიკავის რკინის გზად... შტოს გაყვანა ნოვოროსისკე და ბელენ-ჯიკე ტუაპსემდი. ამ გზის მიმართულებას შავ ზღვაზე პორტის აშენებასთან დაახლოებითი კავშირი აქვს. როსტოვი-მლადიკავის რკინის გზად ნოვოროსისკამდი 250 ევრსია; აქედამ ბელენჯიკამდი მხოლოდ 70 და ტუაპსემდი კი 240 ევრსია, სულ 560 ევრსია.

„დროის“ კორესპონდენცია

სოხუმი, 22 ნოემბერი

სოხუმში ჯერ ვარდები ისევ ყვავიან. ზოგიერთ ქუჩებში ისე სახლს ვერ ნახავ, რომ ლობესთან არ უდგეს რამდენიმე ხის სიმალე ვარდის ბუჩქები. რომლებიც საამურათ ყვავან ზოგნი სულ წითლათ, ზოგნი სულ თეთრათ და ზოგნი თეთრ-წითლათ. მაუხსნელი კოკრებიც ჯერეთ ბლომათ არიან, ასე რომ იმ თვეშიც არ გამოიღვეთ აქა გადაშლილი ვარდები. ამაზედ ცხადი დამტკიცება აქაური ჰაერის სითბოსი ძნელათა იქნება.

მაგრამ არც ეს სითბო, არც ზღვის სიანლოვე არ იფარავს აქაურ მცხოვრებლებსა მანებელ ჭაობის ზედგაღვიწიდან. მითქმის ყველა სუხუმელს პირის სახეზედ ასეთი აშკარა დალი ამ ზედგაღვიწისა. მეთრ-წითელ ლოყებს იშვიათათ შეხედება კაცი აქაურ მცხოვრებლებში. შევლას ყვითელი, გამოწურული ლიმონის ფერი აქვს. აქაურ ციებას ბევრი ეთეროვანი არსება დაუფთხვია და საყვარელ ქმრებს მოუშორებია, რასაკვირველია მათ საბედნიეროთ. მშვენიერი სქესი აქ თითქმის მარტო მახინჯ ვეგემპლიარებს წარმოგიდგენს. ლამაზი ცოლები აქ თურმე ქმრებს როდი მოსდევენ. როცა მათ ქმრებს აქეთკენ ნიშნავენ, ცოლები ამ გვარ შესხმას ეუბნებიან თურმე:

— სანატრელო გერიტო, მე შენ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ უფრო მომეტებულათ მიყვარს ის სიამოვნება, რომელსაც ჩემი თურაშაული ვაშლივით დაბრაწული ლოყები და ტუჩები გაძლიერენ; მე არ მინდა, რომ ეს სიამოვნება მოგაკლო თვით ღრმა სიბერემდის, და ამიტომ ვერ გამოგყვები სუხუმში, რომლის ციებაც თურაშაულ ვაშლს თურმე გაწურულ ლიმონს ამზავებს.

ამისთანა საფუძვლიანი არგუმენტით დაჯერებული ქმარი მარტო მოეხეტება სუხუმში და მოუთმენლათ მოელის, როდის ეღივება თავისი მშვენიერი ნახევრის ხელმეორეთ ალერსსა... რადგანაც ეს მოლოდინი მათ მალე არ უსრულდებათ, ამიტომ ისინი ხდებიან ბუზღურა ხასიათისა, ჯავრს მეზობლებზედ ყრილობენ, სწყრებიან მათ, ებერებიან, ზურგს აქცივენ შეხვედრის დროს და მუნჯებით უყურებენ ერთმანეთს, თუ საჭიროება ერთათ მოაქცევს მათ სადმე.

სოხუმელები ძალიან ცდილობენ, რომ არისტოტელის წარმოსთქმა: „ძაცი არის საზოგადოებრივი პირუტყვი“ — თავის შესახებ გამტყუნონ: ზიან ცალცალკე კუთხებში და ბაიყუშებით გამოიყურებიან ფანჯრებიდან. მაუგონათ, ახლანდელი აღმიანები კითხვით ართობენ გულსაო და გამოუწერათ ბიბლიოთეკა. მაგრამ ვიდასც კუდი ოინი უქნია მათთვის: აუღია და სულ ჰაზროვანი თხზულებები გამოუწერია. სუხუმელებს ეს არ მოსწონებათ, დაუკეტიათ

ბიბლიოთეკა და კანონათ დაუღვიათ: მაშინ გაიღოთ აგი, როდესაც წიგნებიდან გამოქრნენ ყველა ჰზრებიო და დარჩნენ შიგ მარტო სასაქონლო გონძობანიო. რაც მოვედი აქ, თითქმის ყოველ დღე მივდივარ ბიბლიოთეკასთან, შენება გავღებ აღირსეს სუხუმელებმა მეთქი, მაგრამ სად არის. — ძვესულობენ კი: ევროპულიათ ვართ გაწყობილიო: კლუბი, ბიბლიოთეკა, სპეციალები და სხვაინო; ქალაქი ჩვენის ცდილობით იზრდება დღეობით კი არა საათობითო!

როცა ეს ესმის რომელსამე ვაჭარსა, იგი უსიამოვნოთ თავს აქნევს და ამბობს: „რას ბოღენ? სუხუმი რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო უკან-უკან მიდის. წინეთ მე 2000 მანეთი მოგება მქონდა, ახლა 600 მანეთიც მენატრება. მაჭრობა ერთი ხუთად დაეცა, რაკი შავი ზღვის ფლოტი გაქრა და აფხაზეთი გაღარიბდა მცხოვრებლების რიცხვით და ქონებით!“

მაჭარი სრულიად მართალი ჩნდება. როცა ჰკრფვ სხვა და სხვა ადგილას ცნობებსა, ხედავ, რომ ვაჭრობა საშინლათ დაცემულა. მთავალიური ცნობაც გამტკიცებს ამაში: აქაურ ტამოყნის კანტორას იმდენი შემოსავალი არა აქვს ახლა, რომ თავის ჩინოვნიკებს ჯამგირათ ეყოს. ამიტომაც ამ კანტორას იანერიდგან აუქმებენ და სასტავას აარსებენ აქ; უმთავრესი ამისი მიზეზი — საშინელი გაღარიბება აფხაზეთისა.

აფხაზები ახლა ყველაფერში თმენულობენ უკიდურესს ნაკულუღევანებასა. მათი ტანისამოსი — გლახის ზრანძებსა ჰგავს. უწინ კი თურმე სრულიათ სხვა გვართ იტეპდნენ და სხვა შეძლება მქონდათ. ამიტომაც იყო თურმე სუხუმში ვაჭრობა გაჩაღებული. — ამბობენ, მხენელ-მთესველებს მიწები აღარ აქვთო.

ეს განდა უმთავრესი მიზეზი მათი გაღარიბებისა. მე ამაზედ ნამდვილ ცნობებს შეეკრეფავ ვერმე და შეგატყობინებთ.

ამ წინაზედ აქ მოხდა ერთი ტრადიკომიკური ამბავი: ერთ მექებად ურიასა ჰყავდა ლამაზი და მადიანი ცოლი. მის მახეში გაება ერთი მდიდარი მარსისმსახური. ძალი იმდეს აძლიერდა იქამდის, მანამ ეს აფაცირი ისე არ ჩაიფლო გრძობის ზღვაში, რომ უკან დახევა შეუძლებელიდა იქნებოდა. მს რომ შეატყო ქალმა, უთხრა: შემთხვევითი კვშირი ჩემის მხრივ შეუძლებელია, მე შემიძლიან შევიქნე შენი მხოლოდ მაშინ, როდესად ჩემი ქმრის ადგილს დაიჭერ და გახლები გვირგვინოვან ქმრათა. გრძობისაგან დათრობილი აფიცერი თანახმა გახდა; ჩუმათ ერთ ღამეს გააქანა საყდარში ურის ცოლი, საჩქაროთ მონათლა და იქვე გადაიწერა ჯვარი.

საწყალი ურია თურმე გვიან დაბრუნდა სახლში და ცოლს ძებნა დაუწყო ტახტებ ქვეშა. მაგრამ რას იპოვნდა! „შენი ჭირიმი, სტიროდა მეორე დღეს ურია, ეს რა უსამართლობაა: სჯულთური ცოლი მომტაცოს ვინმემ და არ შემოძლიან დაიბრუნო!“

ბევრი იგოდა საწყალმა ურიამ, ბევრი იჩილა, თავის უბედობაზედ და ბოლოს ასე გადასჭრა საქმე: შევირთავ მეორეს უფრო კიდევ ლამაზს ცოლსა და თვალბ დაეაქრეციანება აფიცრს და უწინდელ ჩემ ცოლსა.

მართლა, გამოუწერია მეთაისილამ ერთი მშვენიერი ურის ქალი, რომელიც უწინ-

დელს მის ცოლზედ თურმე ერთი-ორათ ლამაზია. მაგრამ ახლა სხვა აფიცრები იღვეს კბილებსა. ურის კიდევ მოელის უწინდელი ხიფათი...

ამ სახით შეიძლება კაცმა ყოველ წელიწადს ლამაზი ცოლები იცვალოს, და სრულიად უმანკო და დაუნაშაულო დარჩეს! რადენი ნატრულობს ამგვარ მდგომარეობასა, — ეს სულელი ურია კი სტირის და ჩივის უსამართლობაზედ!...

ზორი, ნოემბრის 20

შოველს ჩვენებურს სოფელში და ქალაქშიაც ერთი რაიმე დღეობა იციან. აი, ზორში ცოდნით ბიორგობა, რომელსაც მე დავესწარი ამ თვის 10 ს, კვირას.

მის არ დაუნახავს, ვისაც აქეთ ჩამოუვლია, რკინის გზის მარჯვნივ. მაღალ გორაზედ ერთი ქვის შენობაა მიკრული მერცხლის ბუდესავით? მს არის ეკლესია, რომელსაც ზორის-ჯვარს ეძახიან. აი, ამ ეკლესიაზედ ჰქონდათ აქაურებს ბიორგობა.

შაბათს მოგროვდნენ აქ სოფლები თავის ურმებით ისე, როგორც ლუარსაბ მთქარიძე და იმისი კნენა ღარეჯანი წაბრძანდნენ მელეთში სალოცავათ.

შაბათს ნასადილევს მეც გადვისახე პირს-ჯვარი და შეუდგე კაბე გჭას, ბევრი ფეხშეველა ქალები, ხელში ბლარებიო, მიდიოდნენ; პირზე ოფლი წურწურით მოდიოდათ და გაბიბილებულები და მეტის-მეტი დადლილობით სულს ძლივს ითქვამდნენ. დიდის გაჭირვებოთ, დაქანცული და ილაჯ-გაწყვეტილი, საშინელი ქარისაგან გაბეჭებულნი იყიდო მთის წვეროზედ.

აქ, ეკლესიის ფორა-ახლოს, გადაჭრელებული ურმები და იმათ ქვეშ პატრონობი პანტასავით ეყარენ ერთი მეორეზედ; დაენთოთ აქ-იქ ცეცხლი და ხმელს ჰურსა და ლინოს შეექცოდნენ; აქ დამთვრალი კინტოები ზურნ-ღიბლიბიტოთი და ორგანითათამაშობენ და „შენი, შენი ჭირიმიეთა“ ცხრუებებიან გოგოებს. ახლა ეკლესიასთან მიდით: ქალები ზოგი ძაფს ახვევენ ეკლესიას გარშემო, ვითომ სარტყელიაო, ერთი ცხვარს სჭრია ყურსა და სტაქანში ასხამს სისხლს, რომელსაც, როგორც გავიგე, ლინო უნდა შეურთოს და დალიოს. რადგან „ასე არაა შეპირებული“ ლეთისადმი.

— შენ არ გაგიგია, მამო, რომ სისხლის სმა ძველს აღთქმაში აღკრძალულია?  
— რა ექნა, შეილო, როგორც მეტყვიან, ისე უნდა ავასრულო, — მოგიგოა სისხლის მსმელმა მიხრწნილმა ბებერმა.

ბებერი ქალები კისრით ოთხ ფუთიან ჯაჭვებს მიათრევენ და სიმძიმით კისერ მოხრილი ეკლესიას გარშემო სამ-სამჯერ უელიან. ძლიერ გამაკვირვა ამან და კითხვაზედ: „როგორ შეუძლია ამ ბებერ ქალებს ამ სიმძიმე ჯაჭვის ტარებაო?“ „ზორის ჯვარი შეაძლებინებს, ვისაც შეპირებული აქვს, თორემ ვის შეუძლიაო!“ მომიგო ერთმა. მრამა გლენმა ქესტის ქალამნები მოიტანა. „ღმერთო, შენ შემიწვი! ჰხედამ, ზორის-ჯვარო, რომ ავისრულე შეპირება: ეს ექვსი თვეა, ვატარებ ამ კინის ქალამნებს და ახლა შენ შემოგწირე,“ წაიბურტყულეს ეკლესიის გალავანში და ჩამოკიდეს ქალამნები კედელზედ.

ზოგს ხორცი მიაქვს, ზოგი ქათმებს, ცხვრებს, ძროხებს ჰკლავენ, თავს ეკლესიის კედელზედ ჰკიდებენ, ხორცს იქვე ჰყიდიან.

მს გართ; ახლა ეკლესიაში: თვითოველ კაცს პატარა დოქებიან ან ბოთლებით მიაქვთ ლინო (ზედაში), რომელსაც ერთი-დამტკრალი სტაროსტა ართმეტს, ნტყვესს თვითონ სვამს, სხვას კი ქვევრში ასხამს... ამ დღეს მეტი არაფერი; მეორე დღეს ისევ ისა, რაც წინა დღით, ე. ი. ჯაჭვის კისრით ტარება, ძაფის კედელზედ ხვევა, სისხლის სმა და სხ.

წაწირვებს ჩვენი მლოცველები გამგზავნენ შინისკენ, ზოგი ისევ ისე ფეხშიშველი ან წინდებით, ზოგი ცალ-ფეხ-შიშველი, როგორც მოვიდნენ, და მილაპარაკობენ: „ღმერთო, თუ მიიღო ჩვენი მკითხავის ნარჩევი! ხომ ჰხედავს ზორის-ჯვარი, რომ ვეჩვენეთ იმას და ავასრულეთ, რაც შეგპირდით და რაც გვითხრეს: ერთი ცხვარი, ქათამი და ზედაში მივართვი დაა!“

თეოფ. ძანდელაქი

რუსეთი


მატერინოსლავის გუბერნიის ერობას ერთი შესანიშნავი გადაწყვეტილება დაუღვია: მმართველობას ეთხოვოთ, ისეთი კანონი გამოსცესო, რომლის ძალითაც ყველა ზიანში, რომელიც რკინის გზაზე შემოხვევა მოგზაურებს ან საქონელს, ამ გზების აღმინისტრატია ანუ კამპანია იყოს პასუხის მგებელიო. მარბის გადაწყვეტილებაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ ყველ ამ გვარ დაწესებულებაში პირდაპირი პასუხის გება რკინის გზის მაშინსტებსა და ცეცხლის შეპკეთებლებს უნდა მოეთხოვოსო. ამასთანავე ერობა თხოულობს, ნება მოგვეცესო, რომ ამ გვარ შემთხვევებში საჩივარი იქ კი არ წარვადგინოთ, სადაც რკინის გზის კამპანიას თავის უმთავრესი ადგილ-სამკოფო და ან ფირმა აქვს, არამედ იქ, სადა რომელიმე უბედურება ან ზიანი მოხდებოა.

მდესილამ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს იქაურ სახლებსა და სადგომებს ძალიან შემოაკლდათ ფასიო; მდგურები არ იპოვიანო; ასე რომ სახლის პატრონები ნახევარ ფასად აქირავენ სახლებს, ოღონდ კი ამ ზამთარში დაუტყრელი არ დარჩნითო.

რამდენიმე ხანია მას აქეთ, რაც პეტერბურღში დაარსდა სასოფლო ბანკის კომიტეტი, რომელიც ყოველ წელიწადს აცხადებს დაწერილებით ანგარიშს — თუ რამდენი სასოფლო ბანკია რუსეთში, რამდენი ახალი გაიხსნა ან გაუქმდა, რამდენი შემოსავალგასავალი ჰქონდათ და სხვ. აი, ახლაც გამოსცა ამ კომიტეტმა 1874 წლის ანგარიში; აქედამ ვტყობულობთ, რომ ამ წლის პირველ იანვრამდინ მთელს რუსეთში სულ — 342 სასოფლო ბანკი ანუ გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოება ყოფილა მთავრობისაგან დამტკიცებული. შევლავ უფრო მომტებული სასოფლო ბანკები შემდეგ გუბერნიებში ყოფილა: ნოვგოროდის გუბერნიამი (44), ს-პეტერბურღის (24), ტერის (34), ხერსონის (31) და პსკოვის (16). აქედამ სჩანს, რომ ამ ბანკებს ჩრდილოეთ რუსეთში უფრო მოუდგამს ფეხი, ვიდრე სხვა ნაწილებში.

ჩვენს ვაზეთშიაც იყო ერთ დროს ნთქვაში, რომ რკინის გზის ამშენებელმა, პოლიაკოვმა, ხერსონის ერობას 300,000 მანეთი საჩუქარი შეპირდა, ოღონდ თქვენი რკინის გზის გაკეთება მე მომანდელიო. მიანდეს; პოლიაკოვმა რკინის გზა გააკეთა,





(თუმცა ძალიან უწინა), მაგრამ საქმეს რომ მორჩა, თავის პირობის შესრულება, საჩუქრის თაობაზე, სრულიად აღარ ჰსურდა. ხარკოვის ერობამ უჩივლა და სენატმა იმის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მხლა გაზეთებში სწერენ, რომ ხარკოვის გუბერნიის ერობამ ერთს თავის სხდომაში გადაწყვიტაო, რომ ეს პოლიაკოვისაგან აღებული სამასი ათასი მანეთი ყველა ხარკოვის გუბერნიის უფლებს თანაწოდდეს უნდა დაურიგდესო და როგორც უნდათ, ისე მოიხმარონო.

\* \*

სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია: რომ ყველა საქალბო სასწავლებლებში, რომელნიც ამ სამინისტროს ექვემდებარებიან, გალობა, ხატვა და მუზიკა ყველა შაგირდებისათვის ვალდებულდებით საგნებათ უნდა შეიქნესო. ღვიძლი კი ასე იყო, რომ ამ საგნებს მხოლოდ ეინც ჰსურდა და ცალკე დანიშნულ ფულს აძლევდა; ის სწავლობდა; დღეს ყველა ვალდებული არიან.

\* \*

პეტერბურში შემდგარი ერთი საზოგადოება, რომელიც ძველ ტანისამოს აკრძავებს და ღარიბებს ურიგებს ამ ზამთარში.

### უცხო ქვეყნები

ნოემბრის 12 (24) საფრანგეთში ქალაქების გამგეობის (მუნიციპალიტეტების) წევრების ამორჩევა იყო დანიშნული. ამ დღეებში მოსული გაზეთები გვატყობინებენ, თუ როგორ გათავებულა ეს კენჭისყრა.

ყველა დიდ ქალაქში, როგორც მაგლიონში, ანჟერში, ჰერში, მარსელში, ტულუზაში, ლიონში, ნანტიში, ბულონში, ლიონში და სხვაგან რესპუბლიკელი დეპუტატები ამოურჩევიან. მარსელს მინც ყველა უკიდურესი რესპუბლიკური პარტიის კანდიდატები ამოურჩევიან თავის წარმომადგენლებათ. მხლანდელი მმართველობა ურჩევდა ხალხსა, რომ პოლიტიკურ მიმართულებას ნუ აძლევთ მუნიციპალურ ამორჩევას, მხოლოდ ისეთი კაცები ამორჩიეთ, რომელნიც თქვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილდღეობაზე იზრუნენო. ამ სიტყვებით მთავრობას სურდა, რომ ხალხს იმის მომხრეები და ლევიტიმისტები აერჩია და არა რესპუბლიკელები, თითქო ამათ არ შეუძლიანთ ხალხის კეთილდღეობაზე და ქალაქებისა და სოფლების წარმატებაზე ზრუნვა. ხალხმა არ დაუჯერა მთავრობას, რომლის მოსაწონი კანდიდატებიც, ზოგიერთ სოფლებს გარდა, თითქმის ყველგან დამარცხებული შეიქნენ.

ამ კენჭისყრის დროს ზოგან, ს.დ.ც უფრო ცხარი და გულმხურვალე ხალხია, არეულობას მოელოდნენ, ლენერალომ, ლიუკრომ, რასაკვირველია, ჯარი დამზდა; მაგრამ კენჭისყრა ყველგან ისე მშვიდობიანათ გათავდა, რომ ლიუკროსა და იმის მზგავს მართველობის პირებს თავის გამოჩენისა და ერთგულების დამტკიცების შემთხვევა არ მოეცათ. მრთი გაზეთი ამბობს ამის თაობაზე, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში, რესპუბლიკელებმა თავიანთი მოქმედებით ცხადათ დამტკიცესო (თუ კი ამას კიდევლა ეჭრებოდა დამტკიცებოა), რომ რესპუბლიკი და მშვიდობიანობა კარგათ მოთავსდებიან ერთმანეთშიო.

19 ამ თვისას (1 დეკემბერს) პარიჟში იქნება მინიციპალური ამორჩევა და მეორე

დღეს, ე. ი. მომავალ კვირას, ნაციონალური კრების სხდომაშიც განხილება დეპუტატები ენლავე იყრიან თავს პარიჟში. ტიერი დაბრუნებულა იტალიიდან. რუერიც მალე აპირებს მოსვლას ინგლისიდან, სადაც ნაიმპერატრიცალ მეგენიასთან ყოფილა მოსალაპარაკებლად და პლანების დასაწყობად—თუ ბნანპარტიულ პარტიამ შემდეგში როგორ უნდა იმოქმედოსო.

### მსპანია

სამხედვარ გარეთის გაზეთები ერთს ყურადღების ღირსს ამბავს გვატყობინებენ მსპანიის თაობაზე; ამბობენ, ვითომც ენლანდელს მსპანიის მმართველობის მოთავს, მარშალ სერანოს, განუზრახავს, რომ ამ მოკლე ხანში თვითონ მიიღოს ჩრდილოეთი ჯარის სარდლობა, ბისკაიას და ნავარაში წაიხდეს ლაშქრად და აჯანყებული კარლისტები უთუთო უნდა დაიმორჩილოს. ამას შემდეგ სერანოს ჰსურს თურმე, საზოგადო კენჭისყრა მოახდინოს მსპანიაში, ძორტესები ამოაჩვენონ და მსპანიის გამგეობა იმას გარდასცეს. ამ ძორტესებზე იქნება, რასაკვირველია, დამოკიდებული (თუ კი ეს ხმა გაართლდა), როგორ მმართველობას ამორჩივს მსპანია: დამკვიდრებს რესპუბლიკას თუ ისევ მოაარხნის მოუბრუნდება.

### ღაია

ღაიის პარლამენტში (ჭოლკეტინგში) ერთს ხალხის წარმომადგენელ დეპუტატს წინადადება შეუტანია, რომ აზნაურობა და სხვა ყოველგვარი ხარისხები და აგრეთვე ჩინები და ორდენები მოეხსოთო. წინადადების შეტანის დროს, დეპუტატმა სიტყვა სთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ყველა ამ გვარ ხარისხებმა, ჩინებმა და ორდენებმა დიდი ხანია დრო მოიკუმაო, ენლანდელ საუკუნეში ჩვენთვის სასიარცხოა, რომ იმათ კიდევ რაიმე მნიშვნელობას ვაძლევდეთ და გვარიშვილობით და ორდენებით, და არა საქუთარის ღირსებით, ვაუასებდეთ კაცსაო.

პრების თავს-მჯდომარე ძალიან მხურვალეთ ეწინააღმდეგებოდა ამ აზრსა და წინადადების შემოტანას, მაგრამ თვითონ კრებამ ყურადღების ღირსად დაინახა და იმის განსახილველად ცხრა კაცისაგან შემდგარი ცალკე კამისია დანიშნა.

### საქართველოს სსოპარამიდან

#### სტატია IV

#### მ რ თ ო ბ ი ს ს ა ქ ი რ ო ე ბ ა ზ ე

საზოგადოებაში რომ ერთობა დაირღვევა, იმის ხელმეორეთ გაღვივება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა უბედურება ყველას — თავდასაც, აზნაურსაც, გლეხსაც და მღვდელსაც ეწვევა. წინააღმდეგ ერთმანეთის მტერნი ამ გვარს მდგომარეობაში გრძნობენ ერთობის საჭიროებას, ამისთვის რომ ყველას გული და სული კენესის იმ უსამართლოებისა და მძლავრობის ქვეშ, რომელიც იმათ მტერმა მიაყენა თავის სარგებლობისათვის. ამ ყოფაში ყოველი თვითოეული პირი გრძნობს, რომ იმას მარტო მტრის წინააღმდეგობა არ შეუძლიან, არ შეუძლია მოიშოროს მხოლოდ თავის მხნობით ის უღელი, რომელიც იმას მტერმა კისერზე დაადვა და რაც ძალა და ღონე აქვს, არყევს ერის საზოგადო ცხოვრებას, რომ ის დაამსხვრიოს თავის მძლავრობით, მამობ, რომ ამ ყოფაში იღვიძებს ხალხში

ერთობის სურვილი; ყველანი იგიწყებენ ერთმანეთის მტრობას და თხოულობენ საერთოდ მოქმედებას. ეს არის მოთხოვნილება და შედეგი მტრისაგან დაჩაგრულისა და ერთობა-დარღვეულ ისტორიულის ხალხის ხელმეორედ თავისუფლების გაღვივებისა.

იმ დროს, როცა მონგოლებმა საქართველო დაიპყრეს, (მე-XIII საუკ) ქართველები თუმცა მაინცა და მაინც ძლიერნი იყვნენ; მაგრამ იმათი ერთობა ისრე დარღვეული იყო, რომ ყველა მთავრები ცალკე-ცალკე მოქმედებდნენ მტრის წინააღმდეგ და კიდევაც ამარცხებდნენ.

ახლანდელს მსმალეთის იმპერიაში და მცირე-პნიაში მაშინაც მამადიანების სახელმწიფოები იყვნენ და ამათ რომ შეიტყეს, საქართველოს მეფე არა ჰყავს და მისი ჯარები მონგოლებს სირიაში და ინდოეთში საომრათ ჰყავთო, თარეშით შემოდიოდნენ საქართველოში და ნებადართ მისი აზხრება; მაგრამ ქართველები ისრე ძლიერდებოდნენ, რომ თურქმანი მარხანი მანშემ რამდენჯერმე სრულიად დააპარცხა და გადევნა. „მართლის სხოვრება“ 374 კაბადონზე ამბობა, რომ ამ ომს „ბანის ჯვარის“ ომი ეწოდებოდა.

მაგრამ, საქართველოს საუბედუროდ, ამ გვარის მძლავრობითაც არაფერი გამოდიოდა რა: ყველა მთავარი თავ-თავისად განაგებდა თავის მამულს და არ ჰქონდათ ერთობა და სიყვარული. ამ უთახებობით სარგებლობდნენ მონგოლები და რიგ-რიგობით ეოპებოდნენ და ამას გამო საქართველო ძლიერ დიდ შეწყუბებაში იყო.

ბოლოს გარე ძაოთლში შეიყაიონენ ამერი და იქარნი: მ.ნ.მე, მგარსლანი, ღადიანი სოტნე, მარო მბაგელი, მკოყყარე, შოთა ტუბრი და ყოველსი ეო-კახი, ქართველნი, თარეღი გაოყეკელი, საოგის სძოგველი, ძესხნი და ტოყელნი და უთხრეს ერთმანეთს:

„რამე ვყოთ, რამეთუ არღარა არს ნათესავი მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვბრძოდეთ თათართა. ჩვენ ერთიერთისაგან განვდგომილვართ, და ვერძალ გვიძს წინააღმდეგოდ თათართა: და იგინი ბოროტად გვიპირებენ ჩვენ, და ყოველთა წელთა აღმუთს წავაგვს.მვენ, ყოველთა ჰირთა და ბოროტთა შესამთხვეველად, და არა არს ღონე ჩვენი; და ჩვენ უმეფონი ვართ: აწ შევერბეთ ყოველნი, და ვებრძოდნეთ თათართა.“

ამ აზრზე ყველა ერთხმად დათანხმდნენ, დასდევს ჯარების შეყრის პავნანი. სოტნე ღადიანი ამ საქმის მოთავეთაგანი იყო; მაგრამ რადგან ესა და რაქის ერისთავი შორეულნი იყვნენ, მაშინ გაიყარნენ და წამოვიდნენ იმერეთში, რომ შეჭყარონ ჯარები და დანიშნულს დროს მივიდნენ შიდა მართლში და როცა შეიყრებიან საქართველოს ყველა ნაწილებიდან სხვა ჯარებიც, დაიწყონ მონგოლებთან ომი; სხვა მთავრები კი ჯერ აქვე იყვნენ.

მონგოლებმა შეიტყეს ეს კრება, წამოვიდნენ პნის ქალაქიდან და დაიპყრეს საქართველოს თავადნი და პნის ქალქში დაატყვევეს. სოტნე ღადიანმა ეს ამბავი ეერ შეიტყო. შეკრიფა მთელი იმერეთისა და აფხაზეთის ჯარები და მივიდა დანიშნულს დროს. მაგრამ აქ შეიტყო, რომ თავადები მონგოლებმა დაატყვევესო. ამ ამბავმა ისრე შეაწუხა პატიოსანი სოტნე, ისრე აიშორ იმისი გული მწუხარებითა, რომ ელარ მოითმინა თავისა მოძმეების უბედურება და ორის კაცით წაიდა პნისს. მთავარნი მხარდაკრულნი მივიდნენ ისხდნენ. 376 კაბადონზე „მართლის სხოვრება“ ამბობს: „ვითარ

იხილნა ესე სოტნე, წარჩინებულნი ესრედ უპატიოდ მსხდომარნი და სიკვდილად განწირულნი ცხრდხლს სუნიისაგან, და დაბნია სამსხედროთნისი, განიშლეს და შეიკრა მხარნი, და დაჯდა წარჩინებულთა თანა მწუხარედ.“

მონგოლებს ძლიერ გაუყვირდათ სოტნეს ამ გვარი საქციელი, დაიბარეს და ჰკითხეს მიზეზი. მათანე ამბობს, რომ „სოტნენი კეთილად მეცნიერნი იყენენო“. სოტნემ უთხრა, რომ „ამ თავადი-შელებს უჩემოთ არაფერი საქმე არ დაუჭერიათო; ჩვენ ყველანი შევიყარენით იმისთვის, რომ თქვენი ხარჯი გავეყეთოთ და ბრძანება აღეარყოთ; აწ თქვენ ძვირის მოქმედათ შეგვრაცხეთ, და მე ამისთვის მოვედო, რომ გამოიკითხოთ, და უკეთუ სიკვდილი ღირსი რამე გვიქნია, მეც თითონ მოვეცდებ; და უკეთუ უბრალონი იყვნენ, მეც უბრალოდ შევირაცხო და მართალ თქვენ წინაშე, რ მე-თუ თინიერ ჩემსა არა--რამ უქნისესო.“ მონგოლებმა რომ გაიგონეს ეს პატიოსანი სიტყვები, უთხრეს სოტნეს: „რადგან ქართველები ასრეთი კეთილნი ხართ და არ ღალატობთ ერთს ერთსა, რომ იმერეთით მოხვიდო და სხვებთან ერთად თავი სიკვდილად განწირე, ამისათვის გავანთავისუფლებთ, აღარ დაგჯიოთ და ყოველთა ქართველთა შინ მოგანიქებთ და შენდა მონღოლი ვართო.“

თუმცა სოტნე ღადიანმა ამ თავის სამგალითო თავგანწირულებით გამოისხნა საქართველოს თავდა-აზნაურნი სიკვდილისაგან და დაიმსახურა სახელი ერთგულებისა და პატიოსნებისა, მაგრამ ქართველები მაინც არ დაწყნარდნენ. მართველების ერთობის დარღვევის მიზეზათ იმათ ორი საგნი მიჩნდათ: ერთი უმეფობა, მეორე ისა, რომ ბაკურციხელი გლეხისათვის, რომელიც ყველასა ჰსჯობდა ჰკუთოაც და ეაქცაკობითაც, ამ დროს მონგოლებს იმისთანა უფლება მიეცათ, რომ ყველა მთავარი იმას ემოჩრილებოდა და იმის მეფობას ცოტალა უკლდა. რ.დგან „მართლის სხოვრებიდან“ სჩანს, რომ მონგოლები უფროსობას აძლევდნენ იმისთანა კაცებს, რომელნიც იყვნენ პატიოსანი და ეაქცანი, ამისთვის მე ეამტკიცებ, რომ მგარსლანი კაი კაცი და საქართველოს ერთგული შეილი იყო.

ამას ამტკიცებს პირველად ისა, რომ ამ თავადების შეთქმულობის კრებაში ესეც ურევი; მეორედ ისა, რომ „მართლის სხოვრება“ ამ კაცზე ქების მეტს არაფერს ამბობს. მაგრამ რადგან თავადი არ იყო, ამისთვის ის არ მოაწონდათ თავ-ღიშვილებს და თავილობდნენ იმის უფროსობას.

ამისათვის მოინდომეს, რაც უნდა მომხდარიყო, მაინც და მაინც მგარსლანის უფროსობა თავიდან მოეშორებინათ და მეფე დაესვათ. ბამოიღეს ყველა თავადი შეილებმა თავი და კიდევაც აღსრულეს თავისი სურვილი. იმათ მგარსლანი მოიშორეს და მეფე დაისევს; მაგრამ რა სახით და ვითარის მოქმედებით, ამას შემდეგ სტატიაში ეილაპარაკებ.

იგილი ჯანაშვილი

### ნარკვი

მრთს რუსულ გაზეთში ქვემო-მოყვანილ ამბავს ვკითხულობთ:

პეტერბურში ერთი ცოლ ქმარი ცხოვრებდა; ღარიბი გლეხები იყვნენ და საზრდოს დღიური მუშაობით პოულობდნენ. სამი პატარა შვილი ყვნდათ. მმარი ჯერ ძალიან გულ-მოღვინეთ მუშაობდა და გვარიანად ცხოვრებდნენ, ლუკმა პური მაინც არ აკლდათ. მაგრამ ამ ბოლო დროს ქმარს ლოთობა



